

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ალბათობის თეორია და შემთხვევით პროცესთა თეორია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მათემატიკის დოქტორი, PhD in Mathematics

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ომარ ფურთუხია

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: შემოთავაზებული პროგრამა კომპლექსურია და ის მოიცავს კვლევის შესაძლებლობას მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებით: ნამდვილი და კომპლექსური ცვლადების ფუნქციათა თეორია, ფუნქციონალური ანალიზი, ზომის თეორია, უსასრულო განზომილებიანი წრფივი სივრცეები, უსასრულო განზომილებიანი მრავალსახეობების თეორია, დრეკადობის თეორია, ჰილბერტის სივრცის გეომეტრია, შემთხვევითი ანალიზი.

შედეგი: პროგრამის გავლის შედეგად დოქტორანტი შეძლებს შესაბამის დარგში როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით ნათლად, ზუსტად და მისაღები სახით გადასცეს ადრესატს საჭირო ინფორმაცია, გააუმჯობესებს როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური ხასიათის სამუშაოების შესრულების უნარს. შეეძლება დამოუკიდებლად დასვას და გადაწყვიტოს პრობლემატური საკითხები აღებული დისციპლინიდან.

სასწავლო კომპონენტი: დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სავალდებულო კურსებს არანაკლებ 20 კრედიტისა:

	საგნის დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5
2.	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
3.	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
4.	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	5–10

დარჩენილ 35–40 კრედიტს, ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დოქტორანტი აგროვებს სხვადასხვა კურსების გავლით (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი)

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები: პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება იმუშაოს საკვლევი და პედაგოგიური მიმართულებებით შესაბამის დაწესებულებებში, აგრეთვე იმ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებში, სადაც საჭიროა ამაღლებული მოთხოვნების საძიებო სამუშაოების ჩატარება

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მათემატიკაში ან გამოყენებით მათემატიკაში.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თსუ ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, ნაგარაუდევია ორი დოქტორანტის მიღება.